

გადამზადების პროგრამა: ტრაქტორისტ-მემანქანე,

“ტ“ კატეგორიის მძღოლი

## 1. პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროგრამა შემუშავებულია ახალციხის პროფესიული კოლეჯი "ოპიზარის" მიერ შ.პ.ს. "მექანიზატორის" და გაეროს განვითარების პროგრამის დაფუძნებით. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის თეორიული და პრაქტიკული სწავლების პედაგოგებმა.

## 2. გადამზადების პროგრამა:

ტრაქტორისტ-მემანქანე „ტ“ კატეგორიის მძღოლი

## 3. სწავლების ხანგრძლივობა:

5 კვირა; (30 დღე);

## 4. პროგრამის მოცულობა :

171 სთ თეორიული /ლაბორატორიული ; 250 სთ სასწავლო პრაქტიკა (პრაქტიკული ტარება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებით)

## 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება პიროვნება 17 წლის ასაკიდან და ზემოთ, რომელსაც შეუძლია ტრაქტორის მართვა (პიროვნება, რომელსაც აქვს/არ აქვს მართვის მოწმობა).

**6. პროგრამის მიზანია:** გადამზადოს T კატეგორიის მძღოლი, რომელსაც ეცოდინება: გზებზე მოძრაობის წესები და უსაფრთხო მოძრაობის საფუძვლები; ტრაქტორის ზოგადი აგებულება; სას. სამეურნეო მანქანები,

## 7. გადამზადების პროგრამის შედეგი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ძრავის გაშვება, მართვის ორგანოების თანმიმდევრული პრაქტიკული გამოყენების უნარჩვევის ჩამოყალიბება. ტრაქტორის მართვა მობრუნების (მარჯვნივ, მარცხნივ ) შესრულებით.

2. ტრაქტორის მართვა, საწყისი დაბალი შემდგომ მაღალი გადაცემით, პირობით მარკირებულ კვალზე წინასწარი მონიშვნით. ტრაქტორის უკუსვლით ჩაყენება ბოქსში

3. სატრაქტორო მისაბმელით პირობითი კარების გავლა უკუსვლით. ტრაქტორის მართვა, პირობით კარებში და ლაბირინთში, წინსვლით და უკუსვლით.

4. ტრაქტორის აღმართზე გაჩერება-დაძვრა, მისაბმელით და მისაბმელის გარეშე. მისაბმელთან მისვლა ნელი სვლით, საკიდ იარაღებთან უკუსვლით მისვლა, მანევრირება მანქანა-იარაღის ჩაბმის დროს.

5. ტრაქტორის მართვა მისაბმელით, პირობითი კარების გავლა. სატრანსპორტო მატარებლის მართვა, პირობითი კარების გავლა.

6. ხვნა, გუთნის ტექნოლოგიური და ტექნიკური რეგულირება სამუშაოს შესრულების პროცესში

7. ხვნა, კულტივატორის ტექნოლოგიური და ტექნიკური რეგულირება სამუშაოს შესრულების პროცესში

8. ნიადაგის დამუშავება როტაციული კულტივატორით, ტექნოლოგიური და ტექნიკური რეგულირება სამუშაოს შესრულების პროცესში

9. ფარცხვა სხვადასხვა ტიპის ფარცხების გამოყენებით, ტექნოლოგიური და ტექნიკური რეგულირება სამუშაოს შესრულების პროცესში

10. სათესი აპარატების ტექნოლოგიური და ტექნიკური რეგულირება და თესვის სამუშაოს შესრულება .

### 8. დასაქმების სფერო:

სოფლის მეურნეობა, თვითდასაქმება

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

კაბინეტები	ლაბორატორიები;	სასწავლო სახელოსნო
ტრაქტორების, სს მ; საგზაო მოძრაობის წესები	ტრაქტორების, სსმ.	ტრაქტორების ტექნიკური მომსახურების და რემონტის.

### 11. . სასწავლო პრაქტიკა

სასწავლო პრაქტიკის განხორციელების ადგილი: სასწავლებლის ლაბორატორიები, სასწავლო სახელოსნო, სასწავლებლის მიწის ფართობი. სასწავლო პრაქტიკის მიზანია მსმენელებს გამოუმუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევები.

#### 11. ლიტერატურა:

1. ი. დარჩიაშვილი- საგზაო ნიშნები და საგამოცდო ტესტები
2. გ. როდიჩევი-“ტრაქტორები და ავტომობილები”
3. ო. მშვილდაძე- ‘ტრაქტორები და ავტომობილები”
4. ჯ. კაციტაძე-“მანქანების ტექნიკური მომსახურება დარემონტი”
5. ი. კოზლოვი-“მანქანების ტექნიკური მომსახურება დარემონტი”
6. ვ.კომარისტოვი, ნ. დუნაი-“სას. სამეურნეო მანქანები”
7. “მექანიზირებულ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია ტექნოლოგია”

#### 12. სასწავლო გეგმა:

	საგნები	საათების განაწილება				შენიშვნა
		სულ	თეორიული	ლაბორატორია/პრაქტიკული	პრაქტიკა (ტარება)	
1	გზებზე მოძრაობის წესები და უსაფრთხო მოძრაობის საფუძვლები	90	35	55		
2	ტრაქტორის ზოგადი აგებულება	15	10	5		
3	სასოფლო-სამეურნეო მანქანები	15	10	5		
4	მექანიზებული სამუშაოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია	15	13	2		
5	ტექნიკური მომსახურება და რემონტი	15	11	4		
6	პირველადი სამედიცინო დახმარება	15	10	5		
7	შეფასება	6	4	2		
	<b>ჯამი</b>	<b>171</b>	<b>93</b>	<b>78</b>		
6	სასწავლო პრაქტიკა (პრაქტიკული ტარება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებით)	250	50		200	პრაქტიკული ტარება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებით . ერთ მსმენელზე სულ გათვალისწინებულია 10 სთ და უნდა გამრავლდეს ჯგუფში მსმენელთა რაოდენობაზე (ჯგუფში მსმენელთა რაოდენობაა 25 )
	სულ ჯამი	421	143	78	200	